საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „ლაგოდეხავტოგზა" (საიდენტიფიკაციო კოდი: 233113298) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფონაში არსებულ ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე, ნაცვლად ძველი ასფალტის ქარხნისა (წარმადობით 30 ტ/სთ) ამონტაჟებს ახალ თანამედროვე ტიპის ასფალტის ქარხანას (წარმადობით 120 ტ/ს).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკრინინგის (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 24.04.2020 წლის N2-361 ბრძანება) და სკოპინგის (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 08.07.2020 წლის N2-586 ბრძანება 03.07.2020 წლის N61 სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ) პროცედურები.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, წარმოგიდგენთ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის და 03.07.2020 წლის N61 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებულ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, შპს „ლაგოდეხავტოგზას" ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (30ტ/სთ წარმადობის საწარმოს ნაცვლად 120ტ/სთ წარმადობის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტი"-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შპს „ლაგოდეხავტოგზა"-ს განცხადებას ერთვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, შპს „ლაგოდეხავტოგზას" ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (30ტ/სთ წარმადობის საწარმოს ნაცვლად 120ტ/სთ წარმადობის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტი"-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია ;
- გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე -1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი -3 ეგზემპლიარის ნაბეჭდი ვერსია;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ლაგოდეხავტოგზა"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები და საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები shape ფაილების სახით.

პატივისცემით,

გივი წიქარიშვილი

შპს „ლაგოდეხავტოგზა"-ს დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 18082
"19" 11 2020 წ.
1/100
03